



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 6
24/02/2017

6-04-4-201702241617



ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით შ.პ.ს „ქედის კომუნალურსერვისი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №19 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დაწვევითა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს (დ.დუმბაძე) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, თხოვნების ფორმით შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი შემდეგი მოძრავი ქონება:

ა) ექსკავატორდამტვირთველი (მრავალფუნქციური ტრაქტორი) საჭირო კომპლექტით, საბალანსო ღირებულება - 199000,00 (ასოთხმოცდა ცხრამეტი ათასი) ლარი, რეგისტრაციის ნომერი - BS 095 S, გამოშვებული - 2016 წელს.

ბ) თვითმცლელი ნაგავმზიდი, საბალანსო ღირებულება - 235896,86 (ორას ოცდათხუთმეტი ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 86 თეთრი) ლარი, სარეგისტრაციო ნომერი - UU797PP, გამოშვებული - 2016 წელს.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - მ. სურმანიძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე